აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 27

21 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენლის საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

2012 წლის 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ №79 ბათუმის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენელმა გურამ სალაძემ მომართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვა ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულების ბათილად ცნობა. №79-ე საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულებით განუხილველად დარჩა 2012 წლის 18 სექტემბრის საჩივარი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №19 საუბნო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 26 აგვისტოს განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გასაჩივრების შემთხვევაში განცხადება/საჩივარი განუხილველად რჩება.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განუხილველად დარჩეს საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ წარმომადგენლის გურამ სალაძის საჩივარი ბათუმის

№79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №15/2012 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე გასაჩივრების წესის დარღვევის გამო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**